დანართი 1

განახლება: 07/01-01, 14/01/2025

საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი

სარჩევი

თავი I. ზოგადი დებულებები - - -

მუხლი 13. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, კრედიტების განაწილება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია - 19

მუხლი 14. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები - - - - -20

თავი V. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების წესი - - - - - - - 22

მუხლი 15. საგანამანთლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება - - - - - - - - 22

მუხლი 16. საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილები - - - - - - - - - 25

მუხლი 17. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება - 30

მუხლი 18. საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილება და განვითარება - - - - - - - - 31

მუხლი 19. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება - 32

მუხლი 20. დასკვნითი დებულებები - 33

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. საგანი და მოქმედების სფერო

1.1. წინამდებარე წესი არეგულირებს შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის" (შემდგომში ,,უნივერსიტეტი") უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) არსებული საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამის და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესს.

1.2. უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამები ემსახურება უნივერსიტეტის მისიის განხორციელებას, სტუდენტებისათვის შესაბამისი აკადემიური ცოდნის მიცემისა და შემდგომში პროფესიული განვითარებისა და დასაქმებისათვის საჭირო თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების გამომუშავებაში ხელშეწყობის მეშვეობით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

2.1. აკადემიური უმაღლესი განათლება - უმაღლესი განათლების კურსი, რომელიც მოიცავს ერთსაფეხურიანი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის, ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებს;

2.2. სწავლის სფეროების კლასიფიკატორი - საქართველოში არსებული სწავლის სფეროების კლასიფიცირებისა და სწავლის თითოეულ სფეროში მისანიჭებელ კვალიფიკაციის განმსაზღვრელი დოკუმენტი;

2.3. აკადემიური ხარისხი – კვალიფიკაცია, რომელსაც პირს აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დამთავრებისას ანიჭებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;

2.4. კრედიტი – ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას (საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს) და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ;

2.5. კონცენტრაცია - უმაღლესი განათლების პირველი და მე-2 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების/საგნების/მოდულების დაჯგუფება კონკრეტულ თემაზე/საკითხზე ფოკუსირებით. კონცენტრაციას აქვს სწავლის შედეგი, რომელიც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში; უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაცია უნდა ითვალისწინებდეს არაუმეტეს 30 კრედიტს საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით, ხოლო უმაღლესი განათლების მე-2 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში – არანაკლებ პროგრამის კრედიტების საერთო რაოდენობის 50%-ს.

2.6. საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი) - უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები, მათ შორის, ელექტრონული სწავლების გამოყენების შესაძლებლობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2.7. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებია სასწავლო კომპონენტი და სამეცნიერო-კვლევითი/კვლევითი კომპონენტი;

2.8. სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) – დოკუმენტი, რომელიც იძლევა ინფორმაციას სასწავლო კურსის/მოდულის მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტების, შინაარსის, სწავლებისა და სწავლის მეთოდების, შეფასების კრიტერიუმებისა და ელექტრონული სწავლების გამოყენების შესაძლებლობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ;

2.9. სასწავლო კომპონენტი - საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სასწავლო კურსის/საგნის, პრაქტიკის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პრაქტიკული სახის პროექტის/ნაშრომის, საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის ან სხვა კომპონენტის სახით;

2.10. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი – მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, დისერტაციის ან შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის სახით;

2.11. საკონტაქტო საათი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისათვის განსაზღვრული დრო;

2.12. დამოუკიდებელი საათი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო;

2.13. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა – დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა უნდა ეფუძნებოდეს დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს;

2.14. სწავლებისა და სწავლის მეთოდები - სწავლების მეთოდი არის ლექტორის მიზანმიმართული ქმედება შემსწავლელებში შესაბამისი კომპეტენციის განსავითარებლად. თანამედროვე საგანმანათლებლო პარადიგმა დაფუძნებულია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებზე, რომლებიც მიიღწევა ინტერაქტიული სწავლებით;

2.15. სწავლის შედეგები - საგანმანათლებლო პროგრამის, მოდულის, სასწავლო კურსის დასრულების შედეგად სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნა და შეძენილი უნარები;

2.16. თავისუფალი კომპონენტი - ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობაზე ორიენტირებულ ან/და უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებულ სასწავლო კურსს/საგანს/მოდული, რომლის/რომელთა თავისუფლად არჩევაც შეუძლია სტუდენტს, მისთვის საინტერესო სფეროებში (საკითხებზე) თვალსაწიერის გაფართოების მიზნით.

მუხლი 3. ზოგადი ინფორმაცია

3.1. სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განისაზღვრება კვალიფიკაციის დონე, რომელიც წარმოადგენს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში კვალიფიკაციის სირთულის განმსაზღვრელ ელემენტს, რომელიც აერთიანებს „ცოდნითა და გაცნობიერებით“ (სწავლის ან საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის, ფაქტების, პრინციპების, თეორიების, თეორიული და პრაქტიკული მეთოდების ასიმილაციის შედეგი), „უნარით“ (კონკრეტული დავალების შესრულებისა და პრობლემების გადაჭრისათვის შესაბამისი ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა) ან/და „პასუხისმგებლობითა და ავტონომიურობით“ (ღირებულებებითა და დამოუკიდებლობის შესაბამისი ხარისხით პირის მიერ ცოდნისა და უნარების გამოყენება) აღწერილ, განზოგადებულ სწავლის შედეგებს – აღმწერებს.

3.2. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის და შესაბამის დარგობრივ დოკუმენტზე დაყრდნობით (არსებობის შემთხვევაში), უნივერსიტეტის მისიიდან და სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე, ხორციელდება ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება. საგანმანათლებლო პროგრამის, ასევე სასწავლო კურსისა თუ მოდულის სწავლის შედეგები აღიწერება დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით.

3.3. უმაღლესი განათლების საფეხურები, სწავლის შედეგების მიხედვით, აღწერილია იერარქიულად. უმაღლესი განათლების ყოველი მომდევნო საფეხური გულისხმობს წინა საფეხურზე მიღებული სწავლის შედეგების საფუძველზე დამატებითი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.4. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში/შედგენაში მონაწილეობას იღებენ შესაბამისი მიმართულების პროფესორები/ასოცირებული პროფესორები, დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირები. პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულია აკადემიური პერსონალი, დარგის სპეციალისტ-პრაქტიკოსები, დამსაქმებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და სხვა დაინტერესებული პირები.

3.5. საგანმანათლებლო პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორსა და მის საფუძველზე შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებს (არსებობის შემთხვევაში), უნივერსიტეტის-საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტების მოთხოვნებს.

3.6. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უნდა უზრუნველყოფდეს მისი შემადგენელი კომპონენტების ლოგიკურ კავშირს და გათვლილი იყოს საშუალო

აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტის შესაძლებლობებზე, მათ მიერ სწავლის შედეგების გონივრულ ვადაში მიღწევისათვის;

3.7. პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს, არჩევითი კომპონენტებისათვის განკუთვნილი კრედიტების ფარგლებში, სასწავლო კურსების იმ ოდენობას, რომ უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტების მიერ არასავალდებულო კომპონენტების არჩევის შესაძლებლობა;

3.8. პროგრამის კომპონენტის მოცულობა განისაზღვრება მისი შინაარსის, სწავლის შედეგებისა და დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები უნდა ითვალისწინებდეს დარგის სპეციფიკას და უზრუნველყოფდეს პროგრამით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევას;

3.9. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განვითარებისა და გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, შესაბამისი პირების მიერ გათვალისწინებულ უნდა იქნეს შრომის ბაზრის მოთხოვნები, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგები, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები, საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკა, საჭირო მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსი, პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვის დინამიკა, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, მათ შორის სპეციალობით.

3.10. საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი კომპონენტების - სასწავლო და კვლევითი კომპონენტის (გარდა სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისა) ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის გამოსახატად გამოიყენება ECTS საკრედიტო სისტემა. კრედიტი ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. ერთი კრედიტი მოიცავს

სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე 1 ECTS კრედიტი - 30 საათი.

3.11. საგანმანათლებლო პროცესი საბაკალავრო საფეხურზე სტანდარტულად მოიცავს 8 სემესტრს, 180 კრედიტიანი პროგრამების შემთხვევაში - 6 სემესტრს, დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაზე -12 სემესტრს, სამაგისტრო საფეხურზე 4 სემესტრს, 60 კრედიტიანი პროგრამების შემთხვევაში - 2 სემესტრს, ხოლო სადოქტორო საფეხურზე 6 სემესტრს.

3.12. პროგრამის სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სავალდებულო და არჩევით კომპონენტებს (სასწავლო კომპონენტი, კვლევითი კომპონენტი).

3.13. უნივერსიტეტში ერთი და იგივე შინაარსის, მოცულობისა და სწავლის შედეგების მქონე სასწავლო კომპონენტი ყველა პროგრამის სტუდენტისათვის მოიცავს თანაბარი რაოდენობის კრედიტებს.

3.14. საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია, სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 კრედიტს. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული ხანგრძლივობის, მოცულობისა და სტრუქტურის გათვალისწინებით სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით შეიძლება სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში განისაზღვროს 60-ზე მეტი კრედიტით, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი

ხანგრძლივობის ფარგლებში 60-ს ზევით დამატებული კრედიტების საერთო რაოდენობა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 15 კრედიტს.

3.15. კრედიტების განაწილება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტს შორის (როგორიცაა: მოდული, სასწავლო კურსი, პრაქტიკა და სხვ. (გარდა სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისა)). სასწავლო კომპონენტი არის ერთსემესტრიანი.

3.16. კრედიტთა განაწილება სხვადასხვა კომპონენტებს შორის უნდა ეფუძნებოდეს საშუალო აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისათვის დადგენილი სწავლის შედეგის მისაღწევად. კრედიტების განაწილების სისწორე უნდა შემოწმდეს სტუდენტის რეალური დატვირთვის შესახებ სრული ინფორმაციის შეგროვებითა და ანალიზით, რაშიც პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სტუდენტების მონაწილეობა.

3.17. კრედიტი არ შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს მხოლოდ სტუდენტის მიერ პროფესორ-მასწავლებლებთან სასწავლო გარემოში გატარებული საათების (საკონტაქტო საათების) მიხედვით.

მუხლი 4. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრა

4.1. პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დაგეგმვისას, თითოეულ პროგრამაზე გათვალისწინებულ უნდა იქნეს შესაბამისი მატერიალური რესურსის არსებობა, სტუდენტთა არსებული და მისაღები კონტინგენტი, პროგრამის სპეციფიკა. იხილეთ სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია.

4.2. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარებისათვის რეკომენდებულია, პროგრამაში ჩართული იყოს არანაკლებ 3 აფილირებული აკადემიური პერსონალი. მინიმუმ 2 აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია ან/და

კვლევითი პროფილი უნდა შეესაბამებოდეს სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებულ ვიწრო ან/და დეტალურ სფეროებს.

4.3 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია მინიმუმ 5 შესაბამისი სფეროს აფილირებული აკადემიური პერსონალი, მათ შორის - მინიმუმ 3 პროფესორი ან/და ასოცირებული პროფესორი.

თავი II. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

მუხლი 5. ზოგადი ინფორმაცია

5.1 საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ბაკალავრიატი არის აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური.

5.2ბაკალავრიატში სწავლის მიზანია სრულ ზოგად განათლებაზე უფრო მაღალი დონის პროფესიულ მომზადებასთან ერთად სასწავლო დისციპლინების თეორიული ასპექტების შედარებით ღრმა ათვისება, რაც კვლევითი ხასიათის პროგრამებით ამზადებს პირს მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისა და მუშაობისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.

5.3 ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები. მიღების განსხვავებული პირობები განისაზღვრება ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.

მუხლი 6. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, კრედიტების განაწილება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია

6.1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 240 ECTS კრედიტს, ან კანონმდებლობით დადგენილი წესით არანაკლებ 180 კრედიტს, წელიწადში - 60 ECTS კრედიტს, სემესტრში - 30 ECTS კრედიტს. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.

6.2. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებელია აგებული იყოს შემდეგი პრინციპით:

6.3. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით) და თავისუფალი კომპონენტები;

6.4. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით), დამატებითი პროგრამა (არანაკლებ 30 და არაუმეტეს 60 კრედიტი)/დამატებითი პროგრამები და თავისუფალი კომპონენტები;

6.5. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით) და დამატებითი პროგრამა (არანაკლებ 30 და არაუმეტეს 60 კრედიტი)/დამატებითი პროგრამები.

6.6.უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია მხოლოდ იმ დამატებითი პროგრამის/პროგრამების კომბინირება, რომლის შესაბამისი სწავლის სფეროს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა უკვე ხორციელდება უნივერსიტეტში ავტორიზებულ ან აკრედიტებულ რეჟიმში.

6.7.საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში სასურველია გათვალისწინებულ იქნეს საინფორმაციო ტექნოლოგიების/კომპიუტერული უნარ-ჩვევების, აკადემიური წერისა და უცხო ენის სასწავლო კომპონენტები. ამასთან, იმ პროგრამებზე, რომლებისთვისაც გათვალისწინებულია დამატებითი სპეციალობა, სტუდენტებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, დამატებითი სპეციალობისათვის განკუთვნილი კრედიტები შეავსონ მათთვის სასურველი თავისუფალი კრედიტებით.

6.8. საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის ფორმულირება უნდა მოხდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად.

6.9 რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტის მომზადებაზე შესაბამისი რეგულირებადი პროფესიისათვის.

6.9.1 რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამაა – პროგრამა, რომლისთვისაც სახელმწიფო ადგენს სპეციალურ სააკრედიტაციო მოთხოვნებს ან/და რომლითაც მაგისტრისა და დოქტორის მომზადებას სახელმწიფო უზრუნველყოფს სპეციალური კვლევითი პროგრამების მეშვეობით

6.10.მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა არის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის ძირითად სწავლის სფეროში შემავალი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ან ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისა და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისაგან დამოუკიდებლად, შესაბამის სტანდარტზე დაყრდნობით შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს.

მუხლი 7. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები

7.1. აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) სწავლის შედეგებია:

7.1.1. **ცოდნა და გაცნობიერება** სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ფართო (სრული ზოგადი განათლების შემდგომი) ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებასა და ცოდნის ზოგიერთ უახლეს ასპექტს.

7.1.2. **უნარი** სწავლის ან/და საქმიანობის სფეროსათვის დამახასიათებელი შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების გამოყენება რთული და გაუთვალისწინებული პრობლემების გადაჭრისათვის. კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის/ნაშრომის განხორციელება წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად. სფეროსთვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემების ან/და სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით; სათანადო დასკვნების ჩამოყალიბება, რომლებიც ითვალისწინებენ შესაბამის სოციალურ, სამეცნიერო ან/და ეთიკურ საკითხებს. იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან კომუნიკაცია კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმებით, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით.

7.1.3. **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** კომპლექსურ, არაპროგნოზირებად სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვა და მასზე პასუხისმგებლობის აღება. საკუთარი საქმიანობის ეთიკის პრინციპების დაცვით განხორციელება. საკუთარი და სხვების უწყვეტი პროფესიული

განვითარების დაგეგმვა და განხორციელების ხელშეწყობა. საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით განხორციელება.

მუხლი 8. სამედიცინო/სტომატოლოგიური განათლება

8.1.სამედიცინო/სტომატოლოგიური განათლების პროგრამა არის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მთავრდება დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკადემიური ხარისხის მინიჭებით. დიპლომირებული მედიკოსის 360-კრედიტიანი ან დიპლომირებული სტომატოლოგის 300-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შედეგად მინიჭებული აკადემიური ხარისხი გათანაბრებულია მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან.

თავი III. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

მუხლი 9. ზოგადი ინფორმაცია

9.1 მაგისტრატურა არის აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხური.

9.2 მაგისტრატურაში სწავლის მიზნებია:

9.2.1.1შესაბამის მიმართულებაში, დარგში/სპეციალობაში ან/და ქვედარგში/სპეციალიზაციაში ღრმა და სისტემური ცოდნის დაუფლება და სათანადო უნარების გამომუშავება, რაც პირს ამზადებს მუშაობისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით, ან/და დოქტორანტურაში სწავლისათვის;

9.2.1.2 სპეციალობის შეცვლა (გარდა რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამისა);

9.2.1.3 სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მომზადება;

9.2.1.4 პროფესიული განვითარება და კვალიფიკაციის ამაღლება.

9.3 მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. პროგრამაზე მიღების წინაპირობაა საერთო სამაგისტრო გამოცდები. მიღების დამატებითი პირობები განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.

მუხლი 10 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, კრედიტების განაწილება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია

10.1. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 120 ECTS კრედიტს, ან კანონმდებლობით დადგენილი წესით 60 კრედიტს. წელიწადში - 60 ECTS კრედიტს, სემესტრში - 30 ECTS კრედიტს. ინდივიდიუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში დასაშვებია არაუმეტეს 75 ECTS კრედიტისა.

10.2 მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება უნდა განისაზღვროს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად.

10.3. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტის მიერ ისეთი კვლევების დამოუკიდებლად ჩატარებას ან ისეთი აქტივობების განხორციელებას, რომელთა საფუძველზედაც ის შეძლებს სამაგისტრო ნაშრომის ან/და პროექტის წარდგენას, მიმართულების, დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის თავისებურებების გათვალისწინებით. სასურველია, სამაგისტრო პროგრამა შედგებოდეს პრაქტიკული კომპონენტისგანაც.

10.4 სამაგისტრო ნაშრომი შემუშავება და საჯაროდ დაცვა ხორციელდება დამამთავრებელ სემესტრში. გარდა ამისა, პროგრამა შეიძლება ითვალისწინებდეს

დამატებით კვლევით კომპონენტსაც.

მუხლი 11. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები

11.1. უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურის) სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონისთვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს. უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურის) სწავლის შედეგებია:

11.1.2 **ცოდნა და გაცნობიერება** – სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ღრმა, სისტემური ცოდნა და მისი კრიტიკული გააზრება, რომელიც მოიცავს სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ზოგიერთ უახლეს მიღწევებს და ქმნის საფუძველს ინოვაციებისათვის, ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებისათვის.

11.1.3. **უნარი** - უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება ან/და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება, აკადემიური კეთილსინდისირების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. რთული ან არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზი, ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი, შეფასება და დასკვნების ჩამოყალიბება, რომლებშიც აისახება სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები. საკუთარი დასკვნების არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენა, როგორც აკადემიურ ასევე, პროფესიული საზოგადოებისთვის აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით.

11.1.4. **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** - კომპლექსური, არაპროგნოზირებადი ან მულტიდისციპლინური სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს მართვა და ადაპტირება ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით. პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში წვლილის შეტანა. სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღება; საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა.

თავი IV სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

მუხლი 12. ზოგადი ინფორმაცია

12.1. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დოქტორანტურა არის აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხური, რომლის საგანმანათლებლო პროგრამები წარმოადგენს სასწავლო კომპონენტისა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ერთობლიობას და რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-8 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს.

12.2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს დოქტორანტს სამეცნიერო ხელმძღვანელით, უქმნის პირობებს სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული სამუშაოს ჩასატარებლად, რომელიც უნდა მოიცავდეს დასაბუთებულ თეორიულ ან/და ექსპერიმენტულ შედეგებს, ხელს უწყობს დოქტორანტის ინტეგრაციას მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში.

12.3 დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ მაგისტრის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, გარდა იმ პირისა, რომელსაც მაგისტრის აკადემიური ხარისხი უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 46-ე მუხლის 2^3 პუნქტით გათვალისწინებული მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის გავლის საფუძველზე მიენიჭა. მიღების წინაპირობა განისაზღვრება ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.

მუხლი 13. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, კრედიტების განაწილება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია

13.1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არაუმეტეს 60 ECTS კრედიტს სასწავლო კომპონენტს და პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი.

13.2.დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისა და დისერტაციის დაცვის შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება აკადემიური ხარისხი, რომლის დასახელება უნდა განისაზღვროს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად.

13.3.სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო და კვლევით კომპონენტებს შორის რეკომენდებული განაწილებაა:

13.3.1. სასწავლო კომპონენტი - არაუმეტეს 60 ECTS კრედიტი;

13.3.2. კვლევითი კომპონენტი - არანაკლებ 2 წელი.

მუხლი 14. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები

14.1. უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის (დოქტორანტურის) სწავლის შედეგებია:

14.1.1. **ცოდნა და გაცნობიერება** – სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რომელიც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა, მათ შორის, მულტიდისციპლინურ ან ინტერდისციპლინურ კონტექსტში. სწავლის ან საქმიანობის სფეროს სისტემური და კრიტიკული გააზრება.

14.1.2. **უნარი** - აკადემიური კეთილსინდისიერების პრონციპების დაცვით კვლევის დაგეგმვა და განხორციელება; ახალი კვლევითი ან ანალიტიკური მეთოდების ან/და მიდგომების შემუშავება, რომელიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული (საერთშორისო რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე); ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება კომპლექსური პრობლემების გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება (კვლევასა ან/და ინოვაციაში).

არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში ახალი ცოდნის დასაბუთებულად,

გარკვევით წარმოჩენისა და გადაცემის უნარი როგორც კოლეგების, ასევე ფართო საზოგადოებისათვის. ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გამართულ თემატურ დისკუსიებში მონაწილეობის უნარი.

14.1.3 **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** - აკადემიურ ან/და პროფესიულ კონტექსტში უახლეს მიღწევებზე დამყარებული კვლევითი პროექტების ან/და განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების განხორციელება ხელმძღვანელობითი, აკადემიური ან/და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, ასევე ინოვაციურობისა და დამოუკიდებლობის დემონსტრირირებით.

თავი V საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების წესი

მუხლი 15. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

15.1. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის და შემუშავების ინიცირება ხორციელდება უნივერსიტეტის მენეჯმენტისგან ან ინიციატორის მიერ, რომელიც, პროგრამის შემუშავების და დამტკიცების შემთხვევაში, ხდება პროგრამის ხელმძღვანელი (უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ან პროფესორი) და პასუხისმგებელია პროგრამის განხორციელებაზე, შემდგომ განვითარებასა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებთან და კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე; უზრუნველყოფს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები და კურსდამთავრებულები (არსებობის შემთხვევაში ან შესაბამისი მომიჯნავე პროგრამების), პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები და მათი წარმომადგენლები, პოტენციური დამსაქმებლები და სხვ.) ჩართულობას.

15.2 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, განხორციელება და განვითარება უნდა მოიცავდეს შემდეგ ფაზებს: ანალიზი, დაგეგმვა, შემუშავება, განხორციელება, შეფასება და განვითარება.

15.3 საგანმანათლებლო პროგრამის ანალიზის ფაზაში ხდება მონაცემების მოგროვება და გაანალიზება იმისათვის, რომ განისაზღვროს პროგრამის აქტუალობა და ხარჯების ეფექტურობა (ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის შემთხვევა), საგანმანათლებლო საჭიროებები და მოთხოვნები, საგანმანათლებლო პროგრამისთვის აუცილებელი სასწავლო კურსები, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები და შედეგები, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები/სასწავლო კურსების პრერეკვიზიტები, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსები; ასევე არსებული კურიკულუმის გაანალიზება და ცვლილებების საჭიროების იდენტიფიცირება.

15.4. ანალიზი უნდა ეყრდნობოდეს შემდეგ მონაცემებს:

15.4.1 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორს;

15.4.2. შესაბამის დარგობრივ მახასიათებელს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

15.4.3. შრომის ბაზრის კვლევის შედეგებს;

15.4.4. სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან, სფეროში მომუშავე ექსპერტებთან და პრაქტიკოსებთან ჩატარებულ კვლევის შედეგებს;

15.4.5. ბენჩმარკინგს (დადარებას საერთაშორისო და ადგილობრივ მსგავს/ანალოგიურ პროგრამებთან);

15.4.6. სამაგიდე კვლევის შედეგებს დარგში თანამედროვე მიღწევებისა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით და სხვ.

15.5 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის (დიზაინის) ფაზაში შესაძლოა განხორციელდეს შემდეგი საფეხურები:

15.5.1. გამოვლენილი მოთხოვნების/საჭიროებების მიხედვით პროგრამის შედეგების გადამუშავება;

15.5.2.საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგების განსაზღვრა;

15.5.3. ვალიდური შეფასების სისტემის შემუშავება: შეფასების ფორმების, მეთოდები, კომპონენტებისა და კრიტერიუმების განსაზღვრა;

15.5.4. სასწავლო კურსების და მეცადინეობების სტრუქტურის და თანმიმდევრობის განსაზღვრა;

15.5.5 საგანმანათლებლო პროგრამის საჭირო რესურსებით უზრუნველყოფის დაგეგმვა.

15.5.6. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველს წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კვლევითი პოტენციალი, შესაბამისი მიმართულებით წინარე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილების არსებობა, წარმატებული პრაქტიკა და კვლევის შედეგები;

15.6 საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შემუშავების ფაზაში ხდება კურიკულუმისა და საგანმანათლებლო კომპონენტების სილაბუსების შემუშავება, შესაბამისი შეფასების მექანიზმების შერჩევა, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შემუშავება, პროგრამის რესურსებით უზრუნველყოფა.

15.7 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფაზა მოიცავს უშუალოდ სწავლების პროცესს; განხორციელების ფაზაში ხდება მონაცემების შეგროვება და შემდგომ ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და განვითარების მიზნით.

15.8. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცებისათვის საჭიროა შემდეგი პროცედურული ეტაპების გავლა:

15.8.1. პირველი ეტაპი - ახალი პროგრამის შექმნის მიზნობრიობის განხილვა. ინიციატორი ახალი პროგრამის შემუშავების შესახებ წინადადებას პროგრამის აქტუალობის კუთხით განიხილავს სკოლის საბჭოზე, ხოლო ხარჯების ეფექტურობის კუთხით - პრორექტორთან ფინანსურ დარგში. ინიციატორის წინადადების მოწონების შემთხვევაში, პროგრამის შემუშავების პროცესი გადადის მეორე ეტაპზე.

15.8.2 მეორე ეტაპი - საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება. აღნიშნულ პროცესზე პასუხისმგებელია პროგრამის (პოტენციური) ხელმძღვანელი. აღნიშნულ ეტაპზე მნიშვნელოვანია, ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობის უზრუნველყოფა. ანალიზის, დაგეგმვისა და შემუშავების ფაზის გავლის შემდეგ, პროგრამა განსახილველად გადაეცემა უნივერსიტეტის

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. მოწმდება პროგრამის შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებსა და შესაბამის დარგობრივ მახასიათებელთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი შეფასების შემთხვევაში პროგრამა თანხმდება პრორექტორთან ხარისხის დარგში. შემდგომ ეტაპზე პროგრამა განიხილება სკოლის საბჭოზე. სკოლის საბჭოს მიერ პროგრამის პროექტის მოწონების შემთხვევაში, სკოლის დეკანი მოხსენებითი ბარათით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს, რომელიც ბრძანებით ამტკიცებს პროგრამას.

15.8.3 წინამდებარე წესის 15.8.2 პუნქტით განსაზღვრული, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დადებითი შეფასების გაცემა ხდება პრორექტორთან ხარისხის დარგში კოორდინაციით.

15.9. საგანმანათლებლო პროგრამის რექტორის მიერ დამტკიცების შემდგომ, უნივერსიტეტის მიერ პროგრამის განხორციელების მიზნით, მისი დამატება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15.10. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებისას, როდესაც ახალი პროგრამა ძველი პროგრამ(ებ)ის გადამუშავების/გაერთიანების შედეგად იქმნება, მისი დამტკიცებისათვის ხორციელდება მხოლოდ წინამდებარე მუხლის 15.8.2 პუნქტით განსაზღვრული პროცედურა.

მუხლი 16. საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილები

საგანმანათლებლო პროგრამა უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

16.1. თავფურცელი

16.2. დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: [უნდა მიეთითოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად.]

16.3. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: [უნდა მიეთითოს სახელწოდება

სრულად, ქართულად და ინგლისურად.]

16.4. სკოლა [უნდა მიეთითოს ის სკოლა რომელიც სთავაზობს საგანმანათლებლო პროგრამას.]

16.5. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი: [უნდა მიეთითოს ვინაობა, აკადემიური ხარისხი, თანამდებობა, საკონტაქტო ინფორმაცია.]

16.6. უმაღლესი განათლების საფეხური და კვალიფიკაციის დონე: [ბაკალავრიატი (უმაღლესი განათლების პირველი საფეხური) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო - დონე 6 / მაგისტრატურა (უმაღლესი განათლების მეორე საფეხური) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო - დონე 7 / დოქტორანტურა (უმაღლესი განათლების მესამე საფეხური) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო - დონე 8]

16.7. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: [აკადემიური/ძირითადი/ დამატებითი]

16.8. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: [უნდა მიეთითოს ქართულ და ინგლისურ ენებზე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად.]

16.9. კვალიფიკაციის კოდი: [უნდა მიეთითოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად.]

16.10. სწავლების ენა: [სწავლების ენა არის ქართული. უცხოურ ენაზე დასაშვებია საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული სასწავლო კომპონენტის შეთავაზება, მისი გავლის წინაპირობად უცხოური ენის ფლობის დადგენა და/ან გამოსაყენებელი ლიტერატურის უცხოურ ენაზე მითითება. საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ უცხოურ ენაზე წარმართვა დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით, ან შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. საგანმანათლებლო პროგრამის უცხოურ ენაზე შეთავაზების შემთხვევაში უნდა მიეთითოს შესაბამისი ენა/ენები.]

16.11. პროგრამის მოცულობა კრედიტებით: [უნდა მიეთითოს პროგრამის მოცულობა

ECTS კრედიტების ოდენობით შესაბამისი საფეხურისათვის დადგენილი მოცულობის თანახმად.]

16.12. პროგრამის სტრუქტურა: [უნდა აღიწეროს პროგრამის არქიტექტურა, სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების კრედიტების ჯამური რაოდენობა და ა. შ.]

16.13. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: [უნდა მიეთითოს პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და კონკრეტული მოთხოვნები არსებობის შემთხვევაში - მაგ. ენასთან დაკავშირებული მოთხოვნა]

16.14. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: [პროგრამის მიზანი მიმართული უნდა იყოს სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე, ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ფლობის დონის განსაზღვრაზე.]

16.15. სწავლის შედეგი: [სწავლის შედეგი - რომელიც მოიცავს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი განსაზღვრულ კვალიფიკაციის დონის შესაბამის აღმწერებს: „ცოდნა და გაცნობიერება“ (სწავლის ან საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის, ფაქტების, პრინციპების, თეორიების, თეორიული და პრაქტიკული მეთოდების ასიმილაციის შედეგი), „უნარი“ (კონკრეტული დავალების შესრულებისა და პრობლემების გადაჭრისათვის შესაბამისი ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა) ან/და „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“ (ღირებულებებითა და დამოუკიდებლობის შესაბამისი ხარისხით პირის მიერ ცოდნისა და უნარების გამოყენება) და კონკრეტულ დარგობრივი მახასიათებლის სწავლის შედეგებს (არსებობის შესაბამისად) უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერისა და კონკრეტული დარგობრივი მახასიათებლის (არსებობის შემთხვევაში) შესაბამისად. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და შესაბამის დარგობრივ დოკუმენტზე დაყრდნობით, უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, ხორციელდება ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება.]

16.16. პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა: [შეავსეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მიხედვით:

პროგრამის მიზნები	სწავლის შედეგი 1	სწავლის შედეგი 2	სწავლის შედეგი 3	სწავლის შედეგი 4
1.				
2.				
3.				

პროგრამის სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის მიზნებს, რაც ასახული იქნება პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე.

16.17. სწავლის შედეგების რუკა: [შეავსეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მიხედვით:

სასწავლო კურსი / მოდული /პრაქტიკა/კვლევითი კომპონენტი	სწავლის შედეგები		
	სწავლის შედეგი 1	სწავლის შედეგი 2	სწავლის შედეგი 3

სადაც აღინიშნება საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული სავალდებულო სასწავლო კურსის/მოდულის/პრაქტიკის/კვლევითი კომპონენტი რომელი სწავლის შედეგის მიღწევაში მონაწილეობს.]

16.18. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: [უნდა მიეთითოს სწავლებისა და სწავლის რა მეთოდები გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.]

16.19. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: [უნდა მიეთითოს უნივერსიტეტში მოქმედი სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა და კონკრეტული პროგრამისათვის სპეციფიკური მოთხოვნები. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებისათვის, რეკომენდირებულია ასევე მიეთითოს სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების დაცვის შეფასების კრიტერიუმები.]

16.20. სწავლების ორგანიზების თავისებურებები [უნდა მიეთითოს დამატებითი ინფორმაცია, რომელიც უჩვენებს პროგრამით გათვალისწინებული სწავლებისა და სწავლის პროცესის ორგანიზების თავისებურებებს.]

16.21. დასაქმების სფერო: [უნდა მიეთითოს კურსდამთარებულის შესაძლო დასაქმების სფერო და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.]

16.22. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ [უნდა მიეთითოს პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობა, ინფორმაცია მატერიალური რესურსის შესახებ, რომელიც აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული „ცოდნითა და გაცნობიერებით“ (სწავლის ან საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის, ფაქტების, პრინციპების, თეორიების, თეორიული და პრაქტიკული მეთოდების ასიმილაციის შედეგი), „უნარით“ (კონკრეტული დავალების შესრულებისა და პრობლემების გადაჭრისათვის შესაბამისი ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა) ან/და „პასუხისმგებლობითა და ავტონომიურობით“ (ღირებულებებითა და დამოუკიდებლობის შესაბამისი ხარისხით პირის მიერ ცოდნისა და უნარების გამოყენება) სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისათვის.]

16.23. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ: [უნდა მიეთითოს პროგრამაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაცემები.]

16.24. სასწავლო გეგმა,

16.25. წინაპირობები: [წინაპირობების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა შესაძლებელია სასწავლო გეგმაში ინფორმაციის ინტეგრირებით ან დამატებითი ცხრილის სახით].

16.26. სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები): [თან უნდა ერთვოდეს პროგრამას.} სილაბუსში მითითებული უნდა იყოს სასწავლო კურსის სრული სახელწოდება, საგანმანათლებლო პროგრამა, შესაბამისი სკოლა, სილაბუსის ავტორი/ განმახორციელებელი ლექტორი, სწავლების საფეხური, სწავლების ის სემესტრი, რომლისთვისაც გათვალისწინებულია სასწავლო კურსი (შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით), სასწავლო კურსის სტატუსი (სავალდებულო ან არჩევითი), კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები, სასწავლო კურსის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლა/სწავლების მეთოდები, შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები და ლიტერატურა.

შენიშვნა: საგანმანათლებლო პროგრამის და სილაბუსის ფორმები თან ერთვის აღნიშნულ წესს. განახლებულ ფორმებზე გადასვლა განხორციელდეს ეტაპობრივად.

მუხლი 17. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება

17.1. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტში დანერგილი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების (სახელმძღვანელო დოკუმენტი) საფუძველზე შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით, რომელსაც ორგანიზებას უკეთებს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

17.2. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის და პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუქციის“ მიხედვით. პროცესს მონიტორინგს უწევს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

17.3.პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს პროგრამის ბენჩმარკინგს, რაც გულისხმობს რომ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო გამოცდილების და პრაქტიკის შესწავლა და პროგრამების დადარება, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში და განვითარებაში ადგილობრივი ან უცხოელი დარგის სპეციალისტების ჩართვა/პროგრამების შეფასება. უნდა ხდებოდეს მათ მიერ პროგრამების ექსპერტიზა/ ბენჩმარკინგი და რეკომენდაციების/რჩევების შემუშავება.

მუხლი 18. საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილება და განვითარება

18.1.წინამდებარე წესით გათვალისწინებულის გარდა, პროგრამაში ცვლილების შეტანა ასევე შესაძლებელია საგამანათლებლო პროგრამის /სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების საფუძველზე განხორციელებული შეფასების შედეგების, მათ შორის, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა კვლევის შედეგად მიღებული შეფასებების, აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების და სხვა საფუძველზე.

18.2. პროგრამის ხელმძღვანელმა უნდა განსაზღვროს პროგრამაში შესული ცვლილებების გავრცელების წესი და პირობები, თუ პროგრამაში ცვლილების განხორციელების ეტაპზე, ცვლილების დაუყოვნებლივ ძალაში შესვლამ შესაძლოა ნეგატიური გავლენა მოახდინოს სტუდენტების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებზე.

18.3. დისტანციური სწავლების გამო სასწავლო კომპონენტ(ებ)ში განხორციელებული ცვლილებების საჭიროების შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში წარადგენს შესაბამის ფორმას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანხმობის შემთხვევაში პროგრამაში ცვლილებები

ხორციელდება მე-15 მუხლის 15.8.2 პუნქტით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.

18.4. პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, ეცნობება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

18.5. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა ხდება მე-15 მუხლის 15.8.2 პუნქტით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.

მუხლი 19. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება

19.1.საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს პროგრამის განხორციელების ისეთი რისკ-ფაქტორები, როგორიცაა სათანადო ადამიანური და/ან მატერიალური რესრუსის სიმცირე უნივერსიტეტში, დამსაქმებელთა და შრომის ბაზრის მოთხოვნების ცვლილებებიდან გამომდინარე სტუდენტთა არასაკმარისი ინტერესი პროგრამისადმი, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები, ბაზრის კვლევის შედეგები, სტუდენტთა დასაქმების, პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვისა და პროგრამის განსაზღვრულ ვადებში დასრულების დაბალი მაჩვენებელი, პროგრამის ფარგლებში არსებული პარტნიორული ურთიერთობების შეწყვეტა და ა.შ.

19.2. პროგრამის გაუქმების შესახებ პროგრამის ხელმძღვანელი, შესაბამისი კვლევისა და ანალიზის საფუძველზე, ამზადებს დასკვნას, რომელიც წარედგინება სკოლას და პრორექტორს ხარისხის დარგში, რომელთა თანხმობის შემდეგ სკოლის დეკანი მოხსენებითი ბარათით მიმართავს რექტორს. პროგრამის გაუქმების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორი. აღნიშნული გადაწყვეტილება ეგზავნება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს შემდგომი პროცედურების განხორციელების მიზნით.

19.3. თუკი გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხებიან სტუდენტები,

უნივერსიტეტი ვალდებულია, უზრუნველყოს მათი შემდგომი სწავლის გაგრძელების ხელშეწყობა, შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

19.4. თუკი გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები სწავლას აგრძელებენ უნივერსიტეტის სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე მათ მიერ გავლილი კომპონენტების თავსებადობის განსაზღვრის შემდგომ, მიმღები საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის მიზნებისათვის, შესაძლოა შემუშავდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა პროგრამის ხელმძღვანელის მიერ საჭიროების შემთხვევაში, აგრეთვე აღიარებულ იქნეს მათ მიერ გავლილი კრედიტები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

19.5. საჭიროების შემთხვევაში, გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების მობილობის ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი აწარმოებს მოლაპარაკებებს და დებს ხელშეკრულებას საქართველოს სხვა ავტორიზებულ უნივერსიტეტებთან სტუდენტებისთვის აკრედიტებულ პროგრამაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 20. დასკვნითი დებულებები

20.1. წინამდებარე დებულება ძალაში შედის რექტორის მიერ დამტკიცებისთანავე.

20.2. საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც ავტორიზაციის/აკრედიტაციის რეჟიმში უწყვეტად განხორციელების მიზნით აისახება წარდგენილ საავტორიზაციო/სააკრედიტაციო განაცხადში, უნდა შეესაბამებოდეს ამ წესის მიერ დადგენილ მოთხოვნებს. ამასთან, წინამდებარე წესის 2.2, 3.1, 3.2, 3.5, 6.2, 6.5, 6.7, მუხლი 7, 10.2, მუხლი 11, 12.1, 13.2, მუხლი 14, 15.4.1, 16.2, 16.8, 16.9, 16.15 პუნქტებით/მუხლებით განსაზღვრული საკითხები შესაძლებელია პროგრამაში ასახული იყოს ან წინამდებარე წესით დადგენილი მოთხოვნების მიხედვით, ან ,,ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების

მიხედვით.

შენიშვნა: საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც აკრედიტებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის ბრძანება №69/ნ- ბრძანების ძალაში შესვლამდე და შეესაბამება „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებას და აგრეთვე, ჯერ არ დამდგარა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების დანართი №3-ის შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვადები, ამ ვადების დადგომამდე უწყვეტად განხორციელების მიზნით, შესაძლებელია აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამებოდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების მოთხოვნებს.

20.3. მოცემული წესების შესრულებაზე ზედამხედველობა ხორციელდება ხარისხის დარგში პროორექტორის მიერ.

20.4. მოცემულ წესში შესული ნებისმიერი სახის ცვლილება და დამატება მტკიცდება რექტორის ბრძანების საფუძველზე.

20.5. წინამდებარე წესი ძალაში შედის რექტორის მიერ მის დამტკიცებისთანავე.